ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3146875

ნომერი: AR1486074

თარიღი : 14.03.2017

გაცემის თარიღი : 22.03.2017

გაცნობის თარიღი : 22.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაძე , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია თვალიაშვილი პ/ნ 01009001725
- აღმაშენებლის გამზ. 189-ა

ორგანიზაცია:
- შპს ასტორია კოდი: 404856660

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ასტორია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404856660
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მაია თვალიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009001725

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 515423
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.01.2013

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან დოლიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. საკითხის შესწავლისას, თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაში უკანა ფასადზე ნაჩვენებია სავენტილაციო მილები და სხვა ტექნიკური დანადგარები, რაც არ ფიქსირდებოდა 2013 წლის 24 იანვრის სამსახურის №515423 ბრძანებით მოწონებულ პროექტში, გთხოვთ, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოთ ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი აქტი და საჭიროების შემთხვევაში ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
- წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი განმარტებითი ბარათი კორექტირებული სამუშაოების დეტალური აღწერით.
- გეგმებზე პანდუსებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნები და დახრის პროცენტულობა.
- გენგეგმაზე დატანილი უნდა იქნას ხაზობრივი ნაგებობა, რომელიც ფიქსირდება საკადასტრო რუკაზე, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.
- წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული პროექტის ჭრილები, გეგმებს უნდა ახლდეს ჭრილის ხაზები.
- ფასადი 1-7 არ შეესაბამება გეგმებს.
- რენდერები არ შეესაბამება გეგმებს (1-7) ფასადის მხარეს 0.000 ნიშნულთან ნაჩვენებია შენობაში შესასვლელი კიბე , რაც არ ფიქსირდება გეგმებზე.
- +12.000 ნიშნულზე საპროექტო გეგმაზე დატანილი უნდა იქნას პარაპეტის კონტური.
- ფასადი ე-ო არ შეესაბამება გეგმებს.
- წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნახაზები ან კონსტრუქტორის შესაბამისი წესით დამოწმებული წერილი, რომლის მიხედვითაც არქიტექტურული ნაწილის ცვლილება არ გამოიწვევს კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებას.
- წარმოდგენილი უნდა იქნას კონსტრუქციულ დასკვნა კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 დღიანი ვადა, აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.